„დამტკიცებულია"

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის:
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2019 წლის 25 იანვრის №01-03/06 ბრძანებით

საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის

საგანმანათლებლო პროგრამის

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „ტბელის უნივესიტეტის") საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ძირითადი მიზანია: შედეგების შეფასების გზით სტუდენტის სასწავლო დატვირთვის მისადაგება მისივე აკადემიური მოსწრების საშუალო მაჩვენებელთან.

„ტბელის უნივესიტეტი" აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიმართავს შემდეგ მექანიზმებს:

1. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და პროგრამის დაძლევაში მათი პროგრესის მაჩვენებლის დადგენა.
   1.1. აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ტარდება ცალკეული სტუდენტისა და სასწავლო კურსის მიხედვით, სადაც განისაზღვრება სასწავლო კურსის შედეგების დაძლევის კონკრეტული პროცენტული მაჩვენებლები – A, B, C, D, E, FX და F შეფასებების მიხედვით;
   1.2. აკადემიური მოსწრების შეფასების ანალიზით განისაზღვრება პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა რა დონეზე მიაღწია თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგს;
   1.3. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების განზოგადებული ანალიზის შედეგები ქვეყნდება დიაგრამების სახით, სასწავლო კურსების და შეფასებების განაწილების მიხედვით;
   1.4. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზით „ტბელის უნივესიტეტი" ადგენს სასწავლო კურსის პროგრამის შინაარსის ათვისების დონეს (A,B,C,D,E შეფასებების პროცენტული მაჩვენებლები), რის მიხედვითაც განიხილება და საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება:
      - სასწავლო კურსის შინაარსის ცვლილება,

- სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა,
- სწავლა-სწავლების მეთოდები,
- შეფასების ფორმები

  ასევე, სხვა საკითხები, რომლებიც შესაძლოა პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენდნენ სტუდენტთა აკადემიურ მაჩვენებელზე.

2. „ტბელის უნივესიტეტი“ სტუდენტის აკადემიური დატვირთვის საშუალო დონის განსაზღვრის მიზნით ეყრდნობა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაში (ECTS) შემუშავებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დიფერენცირების შკალას, სადაც სტანდარტული ნორმალური განაწილების დიაპაზონებია:

შეფასების დიაპაზონი	სტუდენტთა %–ლი რაოდენობა
„A“ - ფრიადი	10%
„B“- ძალიან კარგი	25%
„C” -კარგი.	30%
„D” -დამაკმაყოფილებელი.	25%
“E” -საკმარისი.	10%

3. აღნიშნული შკალის ცალკეული შეფასების დიაპაზონის პროცენტული ზღვარი წარმოადგენს სწავლების შედეგების სამიზნე ნიშნულებს. სადაც
   3.1. **მაღალ** აკადემიურ მოსწრებად ითვლება სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10 %, ანუ „A“ - ფრიადი
   3.2. **საშუალო** აკადემიურ მოსწრებად ითვლება
   „B“- ძალიან კარგი, რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 25%-ს შეადგენს
   „C” -კარგი, რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 30%-ს შეადგენს
   „D” -დამაკმაყოფილებელი, რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 25%-ს შეადგენს
   3.3. **დაბალ** აკადემიურ მოსწრებად ითვლება სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10 %, ანუ “E” -საკმარისი.
4. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მოცემული დიფერენცირების შკალა წარმოადგენს სამიზნე ნიშნულს, რომლის თანმხვედრი აკადემიური მოსწრება შეიძლება ჩაითვალოს სტანდარტულ ნორმალურ განაწილებად. შესაბამისად პროგრამის (შესაბამისად სასწავლო კურსების) სწავლის შედეგებიც შეიძლება ჩაითვალის სტუდენტის საშუალო დონის თანმხვედრად.
5. სტანდარტული ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან (იხ.: მეორე მუხლი) 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება: სასწავლო კურსის მოცულობა; სწავლება-სწავლის მეთოდები; სასწავლო კურსის შინაარსი; შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები; საგამოცდო ფორმატი; ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა და სხვა საკითხი, რომლების პოტენციურად გავლენას ახდენენ სტუდენტის მხრიდან შედეგის მიღწევაზე.

6. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და სამიზნე ნიშნულების უმთავრესი დასაყრდენი და მეთოდოლოგიური საფუძველია სტუდენტის შეფასების ობიექტურობის მაჩვენებელი, ისე, რომ რაც მეტია შეფასების ობიექტურობაში ცდომლება, მით მეტია ალბათობა, იმისა რომ პროგრამის სწავლების შედეგების სამიზნე ნიშნულების მიხედვით შეფასებაც პროპორციულად მცდარი იქნება.
7. შეფასების ობიექტურობის მისაღწევად უნივერსიტეტში გამოყენებულია მრავალკომპონენტიანი შეფასება, მათ შორის წერითი/ზეპირი გამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული პროექტი და სხვა, ასევე არაპირდაპირი შეფასება, კერძოდ: კურსდამტავრებულტა გამოკითხვა, დამსაქმებელტა გამოკითხვა, სილაბუსის შეფასება, სტუდენტთა გამოკითხვები (წერილობითი და ზეპირი გასაუბრებების ფორმით) აკადემიური მოსწრების განმაპირობებელ გარემოებებთან დაკავშირებით.
8. სწავლის შედეგების შეფასება პერიოდულია და ხორციელდება ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ, უმთავრესად სემესტრის ბოლოს, როცა ხდება სწავლის შედეგის მიღწევა.
9. სწავლის შედეგების განხილვა და სამიზნე ნიშნულეთან შედარება
   9.1. სწავლის შედეგების განხილვა ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებთან შესაბამისობების დადგენას.
   9.2. სწავლის შედეგებზე რეაგირება ითვალისწინებს:
   ა) სამიზნე ნიშნულებთან მიმართებაში რეგრესის გამოვლენის შემთხვევაში, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის კვლევას I პუნქტის 1.4. ქვეპუნქტის შესაბამისად,
   ბ) სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების მიღწეის გზების განსაზღვრას.